KA040112864109515

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7 ; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge;
www.csb.gov.ge

№ 72/სა

08 / ოქტომბერი / 2015 წ.

ბრძანება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ მაია ივანიშვილის დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 36^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამავე სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გურამ სალაძის აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 27 ნოემბრის №154/სა ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(საფუძველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის 2015 წლის 6 ოქტომბრის №01-24/334 წერილი).

ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა